პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, მეერთდით!

პარასკევი, 27 თებერვალი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

წითელი არმიელი

№ 44 (732) 1 და 2 კ. მ. დ. პოლიტ-განების ოთველოდ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ივანგულოვის ქუჩა

ელს. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ. | მეოთხეზ 20 კაპ. ჩერეონეც: ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერეგ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

დაარსეთ რადიოს მოყვარეთა წრეები.

ერთ ერთ უდიდეს მიღწევათ თანამედროვე ტეხნიკის და ჩაითვალოს რადიო. ეს ანასკნელი იმდენად განვითარდა და მოიკიდა ფეხი, რომ ევროპის მსხვილ ელმწიფოებში რადიოს—მოერთა რიცხვი მილიონობით ვლება. ეს არც გასაკვირია, ანიდან რადიო ყველაზედ ერთ იაფი და სწრაფი გადამ ი საშუალებაა არა თუ მარ- რამე ცნობის, არამედ სი- ვისაც, მუსიკის, სიმღერისა სხვა.

ნგალითად იმყოფები სიმღ ერულ მივარდნილ სოფელ ასი და ორასი ვერსით და- ერებული ცენტრიდან, და ხელთ გაქვს რადიო-მიმღე- შენ შეგიძლია მოისმინო ნცერტი, სიტყვები და სხვა, მელიც იმართება რომელიმე ქალაქში.

ასეთი ამის გამო რადიოს იდესი მნიშვნელობა ეძლე- ჩვენშიც—საბჭოთა რესპუ- კებში.

ბს შეუძლია უდიდესი დახ- ება გაუწიოს ხელისუფლე- და პარტიას მასიური აგი- ციის, პროპაგანდის და საე- ოდ კულტურულ განმანა- ლურ საქმეში. მართლადაც დიოს საშუალებით ჩვენ ელს შეუძლია თავის ქოხ- ბეთხველოდან ყური დაუ- ოს რომელიმე პოპულია- ულ აგრონომიულ—ლექ- ას ან პოლიტიკურ მოხსე- ბას, რომელიც იკითხება ამა ან იმ ქალაქში. ამიტომაც �ია რადიო—საქმეს მიე- ს ფართე გასაქანი. მთელ ბოთა კავშირში და კერძოთ ქართველოში.

საჭიროა მოეწყოს რაც შე- ლება მეტი რიცხვი რადიო- მიმღები (სადგურებისა. მაგრამ მოწყობას თანხა უნდა, რის გა- ღება დღეს დღეობით მთავრობას არ შეუძლია. ამავე დროს საქმე არ იითმენს და რადიო-სადგურების მოწყობა ხდება გადაუდებელ ამოცანად. საჭიროა აქტიურად ჩაებან რადიო-ალმშენებლობის საქმეში თვით მშრომელთა ფართე მასები. მუშათა ორგანიზაციებში უკვე შეუდგენ რადიო-მოყვარეთა წრეების დაარსებას, რომელთა მიზნს შეადგენს რადიოს მნიშვნელობის გაცნობა ფართო მასებისთვის და მატერიალური წყაროების გამონახვა რადიო-სადგურების მოსაწყობად.

საჭიროა ასეთი რადიო მოყვარეთა წრეები დაარსდეს ჩვენს ნაწილებშიც, რუს ნაწილებში უკვე არსებობენ ალაგ-ალაგ რადიო წრეები. ამ მხრივ ინიციატივა უნდა აიღონ თვით ნაწილებმა. რადიო-მოყვარეთა წრეებს ნაწილებში დიდი მნიშვნელობა აქვს.

რადიო-წრეებში მიზიდულ უნდა იქმნას რაც შეიძლება მეტი წითელ-არმიელები, და რომლებსაც უნდა აეხსნას რადიოს მნიშვნელობა და სხვა.

ჩვენი წითელ-არმიელები, კი, რომლებიც დაბრუნდებიან სახლში თავის ბხრივ გასწევენ აგიტაციას რადიოსათვის სოფლად. ამრიგად წითელი-არმიელ ხდება რომ მეტი-ეი ხიდათ, რომლის საშუალებით რადიო-ალმშენებლობა ფართედ მოიკიდებს ფეხს სოფლად.

ამიტომაც საჭიროა ეხლავე შეუდგენ ნაწილებში (რადიო-წრეების შექმნას.

დაუახლოვოთ რადიო-ყველა მშრომელთა!

გავხადოთ ის ყველასათვის ხელმისაწვდომი!

ინგლისის იმპერიალიზმის ახალი ავანტიურა.

დღეს ჩვენ გაზეთში მოთავ- ბულია ცნობა, რომ ოსმა- ეთის ერთ ნაწილში—გენ- ში იფეთქა აჯანყებამ შეიხ ედის მეთაურობით.

აჯანყებულებმა დაიკავეს გე- ბის რაიონის მთავარი ქალა- დრანჯენი. მეამბოხეთა ერ- რაზმი მიემართება დიარბე- ის მიმართულებით, ხოლო ორე კი არგანისაკენ.

ისმება საკითხი: ვინ აჯანყ- და ვინ არის აჯანყების ბელი?

ზოგიერთი იფიქრებს, რომ ოქოს ხალხი აჯანყდა ოსმა- ეთის დღევანდელ ხელისუფ- ლების წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ არის მართალი. ოსმალეთის ხალხი აქ არაფერ შუაშია.

მაშ ვინ? ამისედ პასუხს მი- ვიღებთ თუ ჩაუკვირდებით დღევანდელ რადიო-ცნობას. იქ ნათქვამია სიტყვა სიტყვით შემდეგი: „დამტკიცებულია, რომ აჯანყების მეთაური სეიდი და მისი მომხრეები წაქეზებული არიან საზღვარ-გარეთიდან. ამბოხების ორგანიზატორთა შორის არიან სულთანის მომხრეები“. ეს სტრიქონები საგულებით აუწყებენ აჯანყების ხასიათს და მის სულის ჩამდგმელთა ვინაობას.

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მთავარსარდლის ჩამოსვლა.

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მთავარსარდლად ამ ჟამად დანიშნული ამხ. ივგუსტ-ივანეს-ძე კორკი დაიბადა 1887 წელს. იურევის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, კორკმა გაიარა სამხედრო სწავლების კურსი ჩუგუევის ქვეითი ჯარის სასწავლებელში. 1914 წლის გაზაფხულზე ამხ. კორკის დაამთავრა ყოფილ ნიკოლაევის სანხედრო აკადემია.



ამხ. ა. ი. კ ო ტ ო ვ ს კ ი.

ოქტომბრის რევოლიუციამდე ამხ. კორკი იმყოფებოდა იმპერიალისტური ომის ფრონტზე. წითელი არმიის შექმნის პირველი თვიდანვე ამ ხანაგი კორკი ეწეოდა მის რიგებში ოპერატიულ მუშაობას მე-9-რე არმიის შტაბში, 1919 წელს კი ის ასრულებს ესტლიანდიის არმიის შტაბის უფროსის მოვალეობას, შემდეგ ინიშნება 7-დე არმიის უფროსის თანაშემწედ და ბოლოს 15-ტე არმიის უფ. თანაშემწეთ.

1921 წლის ოქტომბრიდან 1923 წლის ივლისამდე ის მთავარსარდლობს თურქესტანის ფრონტის ჯარებს. 1923 წლის დეკემბრიდან ის დანიშნული იქნა დასავლეთის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლის თანაშემწეთ, ხოლო 1924 წლის აპრილიდან ის იკავებს ამავე ოლქის ჯარების მთავარსარდლის ადგილს და ერთ და იმავე დროს ითვლება ოლქის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს წევრად. გარდა სამხედრო რევოლიუციონური იარაღისა, ამხ. კორკი დაჯილდოებულია ორი წითელი დროშის ორდენით.

ეს მომრაობა უაღრესად რეაქციონურია. ოსმალეთის შავმა კონტრ-რევოლიუციამ სულთანის დესპოტიის სახით, რომელიც ამ რამოდენიმე წლის უკან დაფეთხა ოსმალეთის ხალხმა და გამოაცალა მას ბატონობა ხელიდან, კვლავ სცდილობს ახალი სისხლის ღვრის საშვალებით დაიბრუნოს თავისი ბატონობა და უნაშუსოთ ივაჭროს ოსმალეთის ხალხის ინტერესებით ინგლისის და სხვა იმპერიალისტებთან. ძველი ოსმალეთი აჯანყდა ახალის წინააღმდეგ. ეხლა ჩვენ გვაინტერესებს არა თუ ის ვინ აჯანყდა, არამედ ისიც თუ საიდან იკრეფს ძალას ოსმალეთის რეაქცია, ვინ უმაგრებს მას წელს? აქ დიდი ფიქრი არაა საჭირო. შეიხ საიდი და მისი ამყოლნი ვერ გაბედავდენ აჯანყების დაწყებას, რომ მათ ხელს არ უწყობდეს რომელიმე იმპერიალისტური სახელმწიფო. და ასეთი სახელმწიფოა ინგლისი. ჩემბერლენის მთავრობა არის სწორედ მიზეზი ამ აჯანყების. მისი მიზანია კვლავ ახალი სისხლის ღვრა მოახვიოს ოსმალეთის ხალხს თავზე და ხელი მოითბოს ამით. ფაშული სახით ინგლისმა დაიწყო ნამდვილი ომი განახლებულ ოსმალეთის წინააღმდეგ.

მაგრამ მიაღწევს თავის მიზანს ის? ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ რომ ვერა. ახალი ოსმალეთი შესძლებს ამ ავანტიურის ჩაჭრობას და მისი ავტორის ვინაობის გამოაშკარავებას. ინგლისის იმპერიალიზმის ახალი თავდასხმა უფრო მეტად გამოაღვიძებს აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერებს და უფრო გაზრდის მათში იმპერიალიზმის კლანჭებისაგან განთავისუფლების წყურვილს.

—ე.

იაპონია-საბჭოთა შეთანხმება საბოლოოდ დამტკიცებულია.

25 თებერვალს იაპონიის პრინცმა—რეგენტმა (მეფისწოლი ტახტის მემკვიდრედ) დამტკიცა იაპონია—საბჭოთა შეთანხმება. ამ რიგად შეთანხმება საბოლოოდ დამტკიცებულია. 26 თებერვალს საბჭოთა კავშირი და იაპონია გადაცვლიან ერთმანეთს დამტკიცების ბრალებს. ამ დღიდან იაპონია—საბჭოთა დიპლომატიური ურთიერთობა აღდგენილი იქნება ფორმალურად.

აჯანყებულთა მოძრაობა ოსმალეთში.

ინგლისის იმპერიალისტების შთაგონებითა და დახმარებით.

გენჯში დაწყებულმა აჯანყებულთა მოძრაობამ განსაკუთრებით სერიოზული ხასიათი მიიღო. გამოირკვა, რომ აჯანყება მოწყობილია საზღვარ—გარეთს კარნახითა და დახმარებით. აჯანყებას მეთაურობს შეიხ საიდი.

გაზეთები ამტკიცებენ, რომ აჯანყების მომწყობთა შორის არიან სულთანის მომხრეები.

შეიხ საიდმა სრული დ მოულოდნელად დაიკავა გენჯის რაიონის მთავარი ქალაქი დრანჯენი.

აჯანყებულთა ერთი რაზმი მიეწევა ქალაქ დიარბექირისაკენ არგანის მამართულებით.

მთავრობამ განაცხადა მეჯლისში: არგანიის რაიონში დაწყებული აჯანყება მთავრობის ძალთა წინააღმდეგ გავრცელდა დიარბაქირის, ხარფუტის და განჯის რაიონებში და მოსალოდნელია სხვა რაიონებსაც მოედოსო.

აჯანყებულ რაონებში მთავრობამ გამოაცხადა საალაო წესები და მოითხოვს მეჯლისიდან ამ ზომების დამტკიცებას.

დეე, ყველა ქვეყნებს ეყოს ძალამიჰბაძონ რუსეთის მაგალითს.

ამხ. ჭერსელი საბჭოთა კავშირის შესახებ.

ინგლისის პროფკავშირთა დელეგატმა საბჭოთა კავშირში პერსელმა წარმოსთქვა სიტყვა მანჩესტერში, სადაც აღნიშნა საბჭოთა კავშირის წარმატება ყოველ დარგში.

მან განაცხადა: „ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რასაც ადგილი არ აქვს საბჭოთა კავშირში.

მე მივუმატებ ჩემ ცნობებს.

დარბევას უკვე აღარ აქვს ადგილი საბჭოთა კავშირში.—არ არის სისხლიანი ამბები ლენაში და აღარ არის სომხების ულტა. უცხოელი კაპიტალისტები, ჩარჩები და მყვლეფელები უკვე აღარ არსებობენ. პეტრეპავლოვის ციხეში აღარ სხედან პატიმრები.

Georgian National Digital Library

არ არსებობს არავითარი არმია, რომელიც საშიში იყოს ქვეყნების მშვიდობიანობისათვის. აღარ არის პოლიციის მფარველობა პროსტიტუციაზე. არ არის პროვოკაცია და ძალადობა პოლიციის ჯაშუშების დახმარებით და მთავრობის ხელმძღვანელობით. ყველა ეს მახრჩობელა გველები, როგორც ბევრი სხვა, განადგურებულია მუშურ-გლეხური რესპუბლიკის მიერ.

და ამიტომ მე ვამბობ:

გაუმარჯოს რუსეთს!

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა კლასს!

დეე, გვეყოს ჩვენ და ყველა ქვეყნებს ძალა, რომ მივბაძოთ რუსეთის მაგალითს“.

ბრანტინგის გარდაცვალების გამო.

23 თებერვალს დილით გარდაიცვალა შვეიცის პრემიერი ბრანტინგი.

ბრანტინგი მეორე ინტერნაციონალის ერთი გამოჩენილი ბელადთაგანი იყო. დაიბადა სტოკჰოლმში 1860 წ. 1886 წლიდან 1917 წლამდი [illegible]მცირე ხანგამოშვებით ის რედაქტორობდა სოციალ—დემოკრატების გაზეთ „სოციალ—დემოკრატენს“.

1897 წ. ის იყო ქვეყნ[illegible] თემთა რიკსდაგის წევრი, 1917—18 წლებში—ფინანსთა მინისტრი, ხოლო 1920, 21, 22, 23 და 24 წლებში თავმჯდომარეობდა მინისტრთა საბჭოს.

ამის გარდა ბრანტინგი იყო შვეიცის დელეგატი ერთა ლიგაში. ავადმყოფობის გამო მან უარი სთქვა 1925 წლის იანვარში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობაზე და დარჩა კაბინეტში უპორტფელო მინისტრად.

ამერიკას სურს ხელში აიღოს მთელი ქვეყნების სადავე.

ამერიკის პრეზიდენტმა კულიჯმა ვაშინგტონში წარმოთქმულ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა თავისი ლტოლვა მშვიდობიანობისა და შეიარაღების შემცირებისაკენ.

მან აღნიშნა, რომ ამერიკამ უნდა აიღოს ხელმძღვანელი როლი ამ საკითხში საერთაშორისო მაშტაბითო.

ამასთან ერთად გამოსთქვა თავისი აზრი სრული განიარაღების წინააღმდეგ, ვინაიდან შეიარაღებული ძალა აუცილებელია შინაური წესრიგის დასაცავადო.

სინკლერის ამხანაგობა უკმაყოფილებას აცხადებს.

ამხ. პიატაკოვმა გადასცა განცხადება ნიუ-იორკში, რომ სინკლერის ამხანაგობამ არ ასრულა თავისი ვალდებულებანი სახალინის საკონცესიო ხელშეკრულებაშიო.

ამის გამო ამხანაგობის წარმომადგენელმა როსტას თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

კომპანიამ მისი აზრით შეასრულა ყოველი ვალდებულება და საბჭოთა სასამართლო ვერ აღმოაჩენს ვერავითარ დარღვევას ხელშეკრულებაშიო.

იაპონია—საბჭოთა ხელშეკრულება სახალინის ნავთზე ეწინააღმდეგება არსებითად სინკლერის საკონცესიო ხელშეკრულებას.

ამხანაგობა თავის განცხადებაში ამტკიცებს, რომ საკონცესიო ხელშეკრულება შეცვლილი არ არის და მისი გბათილება არც არის მოსალოდნელიო.

ლოძში მუშათა მღელვარებაა.

ლოძის ფაბრიკაში მუშათა შტატების შემცირების გამო, ქარხანაში დაიწყო მღელვარება.

მუშები ცოლებით შევარდენ ფაბრიკაში, სცემეს და დასჭრეს ადმინისტრაციის რამოდენიმე წევრი და ფაბრიკის დირექტორი (გამგე).

ამხ. პუგაჩოვის დაჯილდოება წითელი დროშის ორდენით.

კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის ყოფილი სარდალი ამხ პუგაჩოვი, რომელიც დაინიშნა წითელი არმიის შტაბის უფროსის თანაშემწედ ჩავიდა ბაქოში. აქ ამხ. პუგაჩოვმა ილაპარაკა გარნიზონის მეთაურთა და პოლიტიკურ შემადგენლობის საერთო კრებაზე. შემდეგ ამხ. პუგაჩოვი გამოვიდა ადერბეიჯანის ს.ს. რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე.

უკანასკნელმა დიდის ზეიმით დაჯილდოვა ამხ. პუგაჩოვი წითელი დროშის ორდენით.

26-ის სახელობის წითელ იუნკერთა ლეგიონის კრებაზე, პუგაჩოვი არჩეულ იქნა საპატიო წითელ იუნკრად.

რადიო-აგიტაცია.

რკპ-ს ცეკამ საჭიროდ სცნო რადიო-აგიტაციის, როგორც ახალი იარაღის მოწყობა მასიური აგიტაცია-პროპაგანდის საქმეში.

ამიტომ მიღებულია ზომები რათა შეღავათიან პირობებში მოწყობილ იქნას მიმღები რადიოები, პირველ რიგში მუშათა კლუბებში, გლეხის სახლებში და ქოხ-სამკითხველოებში.

ცენტრალური კომიტეტი მიაქცევს პარტიულ ორგანიზაციების ყურადღებას ამ საკითხისაკენ, რათა გაძლიერებულ იქნას მიმღები რადიოების მოწყობის საქმე სოფლად და აგრეთვე მუშებისა და გლეხების კლუბებში.

კოოპერატივთა საბჭო.

რკპ—ს ცეკამ თანხმობა განაცხადა საკოოპერაციო თათბირის წინადადებაზე კოოპერატივთა ცენტრალურ საბჭოს დაარსების შესახებ. საბჭოს ამოცანებია: ერთმანეთ შორის ინფორმაციის მიწოდება და კოოპერატიულ ცენტრებს შორის სადაო საკითხების გარჩევა, წარმომადგენლობა სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წინაშე, ადგილობრივ კოოპერატივების საბჭოებს შორის კავშირის დაარსება, ყოველგვარი თათბირის და კონფერენციის მომზადება და მოწვევა ზოგად კოოპერატიულ საკითხებზე.

სამხედრო საქმე

მოუარეთ ცხენებს.

ყველა სამხედრო პირს უნდა ჰქონდეს შეგნებული ის აზრი, რომ ჩვენს სინამდვილეში ცხენს დიდი მნიშვნელობა აქვს. ცხენოსნობისათვის ის საუკეთესო იარაღია, უიმისოთ ის სუსტია და ხშირათ უსუსურიც. ცხენი აწვდის ბრძოლის დროს საკვებს მეომრებს, ცხენი ზიდავს არტილერიას, ცხენს გამოყავს ბრძოლის ველიდან დაჭრილები. ერთი სიტყვით ჩვენ ქვეყანაში, სადაც არ არის ჯერ განვითარებული წარმოება ავტომობილებისა, არ არის საკმაოთ რკინის გზის ქსელი განვითარებული, ცხენს აქვს დიდი მნიშვნელობა.

ავიღოთ მეურნეობაში. ცხენის საშვალებით გლეხი ხნავს, იწევს ჭირნახულს და ინახავს. ცხენი დაუფასებელი მუშა საქონელია, მაგარი და გამძლეა. ყოველივე მანქანას სჭირია მოვლა, დროზედ გაწმენდა, თორემ ის გაფუჭდება და აღარ იმუშავებს.

ისე არის ცხენიც. ის ჩვენ უდაოულაპარაკებლათ გვემსახურება და ამისათვის მას სათანადო პატივისცემა სჭირია, რომ ის აღრე არ გაცვდეს და დავარდეს. ხშირათ ვხედავ თბილისის ქუჩებზედ საბრალო ცხოველებს, რომლებსაც მებარგულეები მიაჭიანებენ ორთვალებით. ქვაფენილებზედ ცხენი არ უნდა ატარო ჩქარა. რადგან ქვა მას ფეხებს უფუშავებს და ეფეხო ცხენი-მკვდარია. ა[illegible] რეთვე ხშირათ ვხედავ ქუჩებში დაანავარდებენ ცხენებს სამხედრო პირები. საჭიროა, თუ არა მაინც რაკი შეჯდა ზედ[illegible] უნდა გაუშვან რაც შეიძლება ჩქარა. ცხენს ენა-არ აქვს, თორემ ბევრს იტყოდა.

სოფელში უარეს მოვლენ[illegible] აქვს ადგილი. მთელი დღე ხ[illegible] დნიან მას უშნოთ და უაზროთ ხშირათ მისი მხედარი გადა[illegible] რული ანავარდებს მას და მერ[illegible] მეთ გაოფლებულს უცბათ მო[illegible] ხდის უნაგირს და გაუ[illegible] ვებს საბალახოთ. ცხენი ცუ[illegible] დება, ავადმყოფდება და გლა[illegible] დება. მთელი სამართველო რ[illegible] ჩამოიარო, ერთ ხეირიანათ შ[illegible] ნახულს ცხენს ვერ იპოვ[illegible] ისე ეპყრობიან, თითქოს [illegible] ტერი იყოს. არ არის წმენდ[illegible] არც მოვლა, არც დასვენ[illegible]

არ უნდა დაგვავიწყდეს, რ[illegible] ცხენი ძვირფასი საქონელ[illegible] მისი შეძენა ადვილი არ არ[illegible] უმისოთ კი ვერც ერთი ნაწ[illegible] ლი ვერ იარსებებს.

ამისათვის, ამხანაგებო, შეინ[illegible] ხეთ **ცხენი და კარგათ მოუ[illegible] რეთ მას,**

ი. დოლიძე.

საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობა.

ოზურგეთის მაზრაში.

— **შუხუთის თემი.** არჩევნები დასრულდა. აირჩიეს 23 დეპუტატი. აქედან 7 კომუნისტი და 3 ქალი.

ახალსენაკის მაზრაში.

არჩევნები დასრულდა მთელ მაზრაში. სულ არჩეულია 546 წევრი. აქედან 190 კომუნისტია 14 პარტ. კანდიდატი, 36 კ[illegible] მკაცშირელი, 49 ქალი და [illegible] უპარტიო.

მთელ საქართველოში.

დღემდე მთელ საქართველო[illegible] ში არჩეულია 8.800 საბ[illegible] წევრი აქედან 2.512 კომ[illegible] სტი, 6388 უპარტიო და 6[illegible] ქალი.

მოგონება საქართველოს გასაბჭოების წინა დღეებიდან.*)

13 თებერვალს ბაქოში მოვიდა ცნობა სომხეთ ადერბეიჯან-საქართველოს საზღვრებზედ მცხოვრებლების აჯანყების შესახებ. ეს ამბავი სწრაფად მოედო მთელ ორგანიზაციებს და ყველა ამხანაგებში სიხარული გამოიწვია. ამხანაგების სიხარული მალე სინამდვილეთ იქცა.

14 თებერვალს საღამოს, აქ არსებულ საქ. კომპარტიის ცეკამ მოიწვია ყველა საქართველოდან გადასახლებულების და ემიგრანტების საერთო კრება. ამხანაგები დაეფიქალ იქნა ჯგუფებათ საქართველოში გამოსამგზავრებლათ.

როგორც მოსალოდნელი იყო, საზღვრებზედ მდგომი მე 11-ტე არმიის ნაწილები უკვე გამოეხმაურენ აჯანყებულთ, აიღეს ბრძოლის ინიციატივა და გადავიდენ შეტევაზედ.

საქართველოსკენ წამომსვლელი ამხანაგები გაიყვნენ სამ ჯგუფათ. პირველი ჯგუფი, შემდგარი 40 50 კაცისგან გამოემგზავრა 15 თებერვალს საღამოს. ამ პირველ ჯგუფში შედიოდა 16 ცხენოსანი, რომლებიც უნდა გამგზავრებული ყვენ ევლახის სადგურიდან ნუხა-ზაქათალას-ლაგოდეხი—სიღნაღთ და შემდეგ თბილისში ჩამოსულიყვნენ. ამ ჯგუფის მოვალეობას შედგენდა ახლად გასაბჭოებულ საქართველოს სიღნაღის მაზრის სოფლებში და რაიონებში მოეწყოთ რევკომები და ჩაეტარებიათ მიტინგები.

პირველი ჯგუფის ცხენოსნები შევიკრიბეთ 15 თებერვალს საღამოს 6 საათზედ ცეკას ბინაზედ, სადაც უნდა მოეყვანათ ცხენები.

უკვე დაღამდა და ჩვენც მზათა ვართ ცხენებით სადგურისაკენ გამოსამგზავრებლათ.

მოვედით ბაქოს მეორე სადგურზე. იქ მზად დაგვიხვდა თვალ უწვდენელი სიგრძის მატარებელი. იქვე დიდ მოედანზედ სხვა და სხვა ადგილზედ გაეჩაღებიათ ცეცხლი საქართველოსკენ მომავალ აღმოსავლეთის კურსანტთა სკოლას, რომლებიც გამზადებული იყვნენ საბრძოლო მოწყობილობით.

მოვთავსდით ვაგონებში და მატარებელი დაიძრა. ამავე მატარებელით მოდიოდა ამხ. სერებროვსკი (მუშა ინჟენერი), რომელსაც დავალებული ჰქონდა მენშევიკების მიერ აფეთ ქებული ფოილოს ხიდის შეკეთება.

გზაში ყველა მზათ ვიყავით საჭირო საქმეზედ სამუშაოთ. ერთ ადგილას დაეტვირთეთ შავ-ნახშირით ვაგონი.

მეორე ადგილას ცეცხლი გაეჩიდა შპალებით დატვირთულ დიდ ღია ვაგონს, რომელიც 5 წამში გადმოვცალეთ და მეორე ვაგონზე გადმოვტვირთეთ.

ეს მუშაობა ღამით სწარმოებდა. უკვე თენდებოდა, როდესაც ჩამოვედით სად. ევლახში. აქ ჩვენ მოვემზადეთ ნუხისაკენ წასასვლელად და გაუდექით გზას. ამხანაგებს სიცივე ძლიერ აწუხებდათ, მაგრამ არად აგდებდენ, ვინაიდან ხალისი ყველაფერს ავწყებდათ. ამ დღეს გავიარეთ 45 ვერსი და საღამოს ათ საათზე უკვე ნუხაში მივედით. იქ მოვისვენეთ და მეორე დღეს დილით ადრე გავემგზავრეთ ზაქათალის მიმართულებით. დადამებისას მივედით სოფელ კაკში, სადაც გავიარეთ ღამე იქ გადასახლებულ ქართველების ოჯახებში, რომლებსაც ძლიერ ესიამოვნათ ჩვენი ნახვა და კარგათაც მოგვისვენეს.

გათენდა თუ არა, წამოვედით და სადილობისას ლაგოდეხში მოვედით.

გზაში შემოგვხვდენ ქართველი გლეხები, რომლებიც სამუშაოთ გადიოდენ მიდვრებში.

იმ დღეს ლაგოდეხში მოვიწვიეთ მიტინგი და შევადგინეთ მთავრობა.

მეორე დღეს წამოვედით სიღნაღში და რადგან გზაში დადგა ღამემდე, შეჩერდით სოფელ მიხაილოვკაში, სადაც იმავე საღამოს მოვიწვიეთ საერთო კრება და შევადგინეთ რევკომი.

მეორე დილით ამოვედით წყნორში, სადაც ხალხს თავი მოეყარათ და აღვადგინეთ წესრიგი.

იმავე დღესვე დაღამებისას ავედით ქალაქ სიღნაღში.

ქალაქში სამხედრო ნაწილები განაგებდა ყველაფერს, რადგან ადგილზედ ორგანიზაცია არ იყო. ჩვენ იმ ღამესვე დავავალეთ ერთ-ერთ ამხანაგს მეორე დღისათვის დილით მოეწვია ამხანაგების კრება.

მეორე დღეს შეკრიბენ ამხანაგები და შევადგინეთ რევკომი. ამავე დღესვე ჩვენი ამხანაგები გავიდენ სოფლებში, სადაც ჩაატარენ მიტინგები [illegible] და დაარსენ რევკომები.

იმავე დღესვე სიღნაღში მ[illegible] ვიდა ცნობა თბილისში ჩ[illegible] ჯარების შესვლის შესახებ. ამბავმა გაამხნევა, როგორც [illegible] მხედრო ნაწილები, ისე ამხა[illegible] გები. საჩქაროთ იქნა დან[illegible] ნული ქალაქში მიტინგი.

მიტინგი გაიხსნა საღამ[illegible] ოთ. საათზედ. დაესწრო დ[illegible] ძალი ხალხი, როგორც სამ[illegible] დრო ნაწილებიდგან, ისე [illegible] ლო-მახლო სოფლების მცხო[illegible] რებლებიც.

მეტად დაღონებული იყ[illegible] სიღნაღის კულაკები და ვაჭ[illegible] ები, რადგანაც ჩვენს მიერ [illegible] წერილი იქნა 15 მილიო[illegible] კონტრიბუცია.

მიტინგი გათავდა დაღამებ[illegible] სას და ამხანაგებიც ჩამოვიდ[illegible] სოფლებიდგან. მეორე დილ[illegible] გამოვეშურეთ ტფილისისაკ[illegible] სადაც ჩამოვედით 26 თებ[illegible] ვალს საღამოს 4 საათზედ, გამოვეცხადეთ ახლად შემდგ[illegible] ცეკას.

ს. ლომიძე.

*) **რედაქციისაგან:** ტეხნიკური მიზეზების გამო ეს წერილი ვერ მოთავსდა 25 თებერვლის №-ში.

წითელი არმიის შვიდი წლის და საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის დღესასწაულები ჩვენს ნაწილებში.

ამხ. ამხ. მ. წყაკაია და ს. თოდრია 1-ლ ქ. მ. ლეგიონში.

23 თებერვალს საღამოს 6 საათზე ჩვენს ლეგიონს ესტუმრა ტყავ-ტრესტის მუშები ორტრინი.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ 27-დე კოლექტივის ახ. პიონერები, ჩვენთან ერთად სამხედრო ტრტ-სკოლის კურსანტებიც, ლეგიონის ეზო აივსო მუშებით და პიონერებით. წითელი არმიელები შეეფერთდენ სტუმრებს და გაიმართა სიმღერა, ცეკვა და სხვა. შემდეგ ტყავ-ტრესტის მუშები და 27-დე კოლექტივის პიონერები ეტენენ ასეულებს, მათ მდგომარეობასა და მუშაობას.

მუშები განცვიფრებაში მოიყვნენ ჩვენი ჯარის ასეთი უდიერი მიღწევებით და გამოიარეს დაღლილები, რამოდენიმე ხნის შემდეგ უკანვე დაბრუნდენ.

საღამოს რვა საათზე გვესტუმრა ჩვენი ბელადი ამხ. მიხა ცხაკაია და ს. თოდრია. მათ მოყვა პოლიტგანის ბ. ამხ. სიხარულიძე. არმიელები ძლიერ გაახარა ამხანაგების მოსვლამ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ლეგიონის კლუბის დარბაზში გამართა, სამხედრო პოლიტკოლის, ტყავ-ტრესტის მუშებთან და პიონერებთან ერთად გრანდიოზული მიტინგი, წითელ არმიის 7 წლის თავის აღსანიშნავად.

პირველ სიტყვით გამოვიდა ამ. მ. ცხაკაია. გაისმა ტაში ამ. ვ. ვაშას ძახილი.

ამის შეეხო წითელი არმიის ბრძოლებს, მიღწევებს და დაწვრილებით აუხსნა წითელ მოლაშქრებს, თუ რა მოგვცა ოქტომბრის რევოლიუციით მოგებულმა თავისუფლებამ და მოუტანა მან მშრომელ ხალხს. ამხ. შეეხო აგრეთვე საგმირო საქმეებს რომლებიც შესრულება არგუნა ისარიამ, წითელ არმიის და ხელმძღვანელს კომუნისტურ პარტიას **ლენინის** ხელმძღვანელობით.

მომხსენებლის სიტყვა **ლენინის** გაგონებაზე მთელი მიტინგი ფეხზე დგება და სამგლოვიარო ჰიმნის შესრულებით პატივსა სცემს ოქტომბრის რევოლიუციის ბელადს ამხ. **ლენინს** ხსოვნას.

„საქართველოს წ. არმია არის უნცროსი ძმა დიდი სოციალისტური რუსეთის არმიისა და მასთან ერთად უნდა იბრძოლოს ოქტომბრის მონაპოვართა განსამტკიცებლად და ოქტომბრის დროშას მისატანად ყველა იმ ქვეყნებში, სადაც დღეს კიდევ არ განთავისუფლებული მშრომელთა კლასია.“

ამხ. მიხას სიტყვები ძლიერმა ტაშმა და ვაშას ძახილმა დაჰფარა.

შემდეგ ამხ. ს. თოდრიას გამოსვლამ და მისმა სიტყვებმა წ. მოლაშქრენი და მთელი კრება აღფრთოვანებაში მოიყვანა, როდესაც განაცხადა, რომ ის 23 წლის უკან დეზერტირობდა მეფის ჯარიდან, რადგან წამებისა და გონების კიდევ უფრო დაჩლუნგების მეტს კაცი ვერაფერს იძენდაო.

ბედნიერია წითელი არმია და უნდა ამაყობდენ ის ამხანაგები, რომლებიც არიან მისრიგებში; ამხ. მუშარიგას გამოსთქვამს იმის გამო რომ ჭალარა ნებასარ აძლევს ჩადგეს წითელ არმიის რიგებში.

ბოლო სიტყვებში მოუწოდა არმიელებს თუ საჭირო იქნება თავგამოდებით იბრძოლონ მშრომელი ხალხის—კაპიტალისტებისაგან განთავისუფლებისათვის.

პოლიტ-განყოფილების სახელით მიტინგს მიესალმება პოლიტ-განყოფილების უფროსი ამხ. ვ. სიხარულიძე, რომელიც თავის სიტყვაში მოუწოდებს არმიელებს უფრო მტკიცეთ და ენერგიულად შეუდგნენ სამხედრო და პოლიტიკურ განვითარებას.

შემდეგ მოგვილოცეს დღესასწაული ტყავ-ტრესტის მუშების წარმომადგენლებმა, რის შემდეგ გაფანტანილი იქნა სათანადო რეზოლიუციები.

ს. იმნაიშვილი.

წითელი არმიის შვიდი წლის თავი პირველ საკავშირო ასეულში.

23 თებერვალს დილიდანვე ზადისშია ჩვენი ასეული.

წითელ არმიელები და უფროსებიც ჯგუფ-ჯგუფად ეზმაურებოდა ასეულის ეზოში და მღეროდენ რევოლიუციონურ სიმღერებს. ვეფხოდენ ამხ. მუშებს.

ასეულის ყაზარმები გასუფთავებულია და სათანადოთ მოკოზმულ-მოკაზმულია. რამოდენიმე წუთის შემდეგ კიდევ გვეწვივნენ ძვირფასი სტუმრები. ამხანაგებს მიეგებენ ასეულის სამხკომი და უფროსი. ჩამოერივენ წითელ არმიელებში და მოგვილოცეს დიდი დღესასწაული.

შემდეგ დაათვალიერეს ყაზარმები, ინახულეს სამკითხველო და ლენინის კუთხე, რომელიც ძლიერ მოეწონათ. დაათვალიერეს აგრეთვე საჩვენებელი კაბინეტი. გაკვანთნეს თუ როგორ სწარმოებდა ასეულში სასკოლო მეცადინეობა და სხვა.

ყველა ამან ძლიერ ასიამოვნა ამხანაგები.

შემდეგ გაიმართა კრება. მოხსენებით გამოვიდა ასეულის სამხკომი ამხ. ჭელიძე. მან ვრცლად გააცნო კრებას წითელი არმიის მდიდარი ისტორია, მისი პირველი ჩასახვა და სხვა.

სამხკომის სიტყვის შემდეგ ასეულს მისასალმებელი სიტყვით მიმართა თემზას ქარხნის მუშების წარმომადგენელმა. მან სთქვა:

„თუ წინად—ყაზარმაში არც კი შეგვახედვიენდენ მუშებს, ვერ ვიცნობდით ჩვენს მომძმე ჯარის კაცების ცხოვრებას, დღეს ასეთი მდგომარეობა თავიდან აცილებულია. დღეს ჩვენ ერთად ვართ, ერთი საერთო საქმით დაინტერესებული. სახელოვანი წითელი არმიის შვიდი წლის თავზე გესალმებით და იმედს გამოვსთქვამთ, რომ მსოფლიო მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ჩვენ მომავალში შედრკება თქვენნ გული. ამ ბრძოლებში ჩვენც თქვენთან ვართ.

გაუმარჯოს წითელი არმიის შვიდი წლის თავს.

გაუმარჯოს ჩვენს კავშირს განმათავისუფლებელი ბრძოლაში და გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციასო“.

კრება მხურვალე ტაშით შეეგება ამხანაგის სიტყვას, რის შემდეგ გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

სამხკორი შალაშინი.

დიდი დღესასწაულები დივლაზარეთში.

წითელი არმიის 7 წლის თავი და საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა, დიდი ენტუზიაზმით იქნა ჩატარებული ჩვენს ლაზარეთში. სხდომას დესწრენ ლაზარეთის ყველა თანამშრომლები, ავადმყოფები და წითელ-არმიელები. ჩვენი კლუბის დარბაზი ძლივს იტევდა ხალხს.

მოხსენება გააკეთა ამხ. ქერქ-ძემ, რომელიც ვრცლად შეეხო წითელი არმიის ღვაწლს და საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობიდან მიღებულ შედეგებს საქართველოში.

მოხსენებამ ბევრი რამ დაგვანახა. აქ გამოირკვა, თუ რამდენად ნაყოფიერი მუშაობა უწარმოებია მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად და პოლიტიკურად მოღონიერების საქმეში.

მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: „ჩვენ მედგრად ვიდგომებით მუშათა და გლეხთა ხელისუფლების სადარაჯოზე და ძირს არ დაუშვებთ იმ დროშას, რომელსაც აწერია მსოფლიო მშრომელთა განთავისუფლება და რომელიც ჩვენი ძმების—მუშებისა და გლეხების უმანკო სისხლით არის შელებილი.

დაწყებული დიდი საქმის გამარჯვებისათვის ჩვენ ვიბრძოლეთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“.

გაუმარჯოს წითელი არმიის 7 წლის და საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავს.

სამხკორი შ. ხუხუნაიშვილი.

ავტრეგიეთ ქალაქ. საბჭოს დეპუტატები.

20-თებერვალს ქ. ც. ლეგიონში შესდგა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: დელეგატების არჩევა თფილისის საბჭოში.

ძველი საბჭოს მუშაობისა და საერთოდ საბჭოს დანიშნულების შესახებ, ვრცელი მოხსენებით გამოვიდა პოლიტგანის უფროსი ამხ. სიხარულიძე.

მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად აირჩია დელეგატებათ: 1. ჯანგველაძე (კომ.) 2. ლომია (წ. არმ. უპ.) 3. გიორგაძე (კომ. არმიის სამშ. უფროსის თანაშ.) კანდიდატებათ: 1. სიმონიშვილი (უპ.) და 2. ახობაძე (წ. არმ. კ.კ. წევრი)

კრებას დაესწრო მთელი ლეგიონის შემადგენლობა. არჩევნების შემდეგ წაკითხული იქნა „ნაკაზი“.

გეზი.

ამგვები სოფლებიდან

სათემო აღმასკომების მოსაწყობათ.

გორის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა ყველა ახლათ მოწყობილი სათემო აღმასკომებს მისცეს ასი-ასი მანეთი საჭირო წყობილების შესაძენათ.

სასოფლო სამეურნეო დაზღვევა.

ლეჩხუმის აღმასკომმა დაადგინა ჩაატაროს მთელ მაზრაში კამპანია გლეხებში სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის შესახებ.

მილიციის საჭიროებისათვის.

ახალქალაქის აღმასკომმა გადასდო 3.240 მან ადგილობრივი მილიციის საჭიროებისათვის და ტანისამოსის შესაძენათ.

ფართლეულობის გახალება გუნეებში.

წარსული წლის ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბრის განმავლობაში გორის სამაზრო გლეხკომმა მოიტანა და გლეხებში გაიღო 52.802 მანეთის ფართალი.

გლეხების შუამდგომლობა.

ლეჩხუმის მაზრის სოფ. უჯერის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს სამაზრო აღმასკომის წინაშე დეხვირის თემზე მიწერის შესახებ.

მერძევეთა არტელი.

სოფ. განძას (ახალქალაქის მაზრაში) მერძევეთა არტელმა სამაზრო აღმასკომის დახმარებით შეიძინა სეპარატორი (ახალი ტიპის მანქანა).

გლეხკომის საქმიანობა.

საქაშეთის (გორის მაზრა) გლეხკომმა დაამზადა 1.500 ფუთი ზამორის ხილი, რომლის აღებული ფულიდან შეაკეთა ადგილობრივი სამ თვალიანი წისქვილი.

შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

გორის აღმასკომმა დააკმაყოფილა სოფ. ბრილის მცხოვრებთა კოლექტიური შუამდგომლობა სურამის თემზე მიწერის შესახებ.

ჩვენი სოფელი და მისი მეურნეობა.

შაქრის წარმოება ჩვენში.

შაქრის მოთხოვნილება საქართველოში მეტად დიდია, მაშინ როდესაც მისი წარმოება ჯერ-ჯერობით ვერ არის ფეხმოკიდებული. შაქრით, ჩვენს ქვეყანას ეხლა რუსეთი აკმაყოფილებს, მაგრამ ზედმეტი არ იქნება ვიფიქროთ ამ მეტათ საჭირო ბელო პროდუქტის წარმოების მოწესრიგებაზე, აქ საქართველოშიც. საბჭოთა მთავრობამ ამ მხრივ უკვე გადადგა სათანადო ნაბიჯები.

შესწავლილ იქმნა ბორჩალოს მაზრის ნიადაგის თვისებანი და აღმოჩნდა, რომ აქაური ნიადაგის პირობანი ხელსაყრელი არ შეიქნენ ამ წარმოების მოწესრიგებისათვის. მხოლოთ გამოკვლეულ იქმნა, რომ შაქრის წარმოებისათვის სავსებით დამაკმაყოფილებელ პირობებს იძლევა **ტირიფონის** და **დიგლაურის** ველები გორის მაზრაში და ახალციხის მაზრის მდაბლობი ადგილები.

რუსეთში შაქარს აკეთებენ ჭარხლის ტკბილ წვენიდან, არის სხვა საშუალებანიც, როგორც მაგალითად ლეწმის შაქარი, მაგრამ ჭარხლის შაქარი საუკეთესოა და ჩვენში სწორეთ ჭარხლის მოშენება არის შესაძლებელი.

შაქრის ჭარხალი სოფ-მეურნეობის პროდუქტთა შორის ყველაზე მომგებიანია და მას გულხმა აწვდის წარმოებას.

შაქრის ჭარხლის კულტურა სულ სხვა ხასიათს აძლევს გლეხის მეურნეობას. ამის მაგალითები ჩვენა გვაქვს რუსეთში სადაც შაქრის ჭარხლის

მე-2-რე დივპოლიტ-განყოფილების უფროსს.

ახლი მე-5-თე ლეგიონის სამხედრო კომისარს.

ჩვენ მე-5-თე ლეგიონის მე-3-მე ასეულის ლეჩხუმის მაზრაში მდგომი ცვალებადი შემადგენლობა, გიძღვნით თქვენ მხურვალე სალამს და ფიცსა ვდებთ თქვენს წინაშე, რომ ვიბრძოლებთ თქვენთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დასაცავ.

გაუმარჯოს ამიერ კავკასიის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს.

გაუმარჯოს ტერიტორიალური სისტემის განმტკიცებას.

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიას.

ცვალებად წითელ-არმიელთა კონფერენციის პრეზიდიუმი.

სალამი წითელ თებერვალს.*)

წითელ-თებერვალს
გულ-წრფელი
ჩემი სალამი
და წითელ ლაშქარს
ძლევა მოსილს
პირმშოს ოქტომბრის.

—

გამარჯვებული
ხელში ეპყრას
ბრძოლის ალმი
მთელი მსოფლიოს
ბოროტებას
დაამხობდეს ძირს.

—

დეე, კანკალობდეს,
ცახცახობდეს,
მტერავლთ ბანაკი,
რომ თქვენს ხელით
გაითხაროს
მათი სამარე.

—

მიწის პირიდან
აღიგოს
ბათი ერსება
და სამუდამოთ
ჩაესვენოს
მათი მზე და მთვარე.

—

ვაშას ძახილით
მივეგებოთ
შრომის სამეფოს,
კიდით კიდეზე
გადვიხადოთ
დღესასწაული

—

და დავამყაროთ
კაცთა შორის
თანასწორობა,
შრომისა შვილი
თვითვე იყოს
თვის მესვეური.

მუშა **შაქრო ნავთლულელი.**

*) ლექსი რომელიც მიუძღვნა 1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის შემადგენლობას 7 წლის თავის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო სხდომაზე პროლეტარულ პოეტმა შაქრო ნავთლულელმა.

რაიონებში გლეხობა სხვა რაიონებზე წინ სდგას.

ამ მხრივ, როგორც ვსთქვით უკვე გადადგმული ნაბიჯები, მიწათ მომქმედების სახ. კომისარიატმა ტირიფონისა და დოგლაურის ველების რაიონში შეამზადა 5 ტესტონა მიწა შაქრის ჭარხლის დასათესავად. ცხადია ეს იქნება ნიმუში.

საგანგებო სათესი გაწოწერილია ერთდროულად ვერმორიდან (საფრანგეთი) და საკავშირო შაქრის ტრესტს საცდელ სადგურიდან. მასთან ერთად გამორკვეული იქნება შაქრის წარმოების მოგებიანობა გორის მაზრის პირობებში, და საერთოთ ამ საქმის ეკონომიური მხარე.

აზრია გამოთქმული, რომ წრეგანდელი ჭარხლის (Свеклавица) შემოსავლიდან ლაბორატორული წესით იქნება მიღებული შაქარი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს პირველი ცდა კარგად დამთავრდება და საქართველოში მოეწყობა შაქრის ქარხნები.

სამნეო დარგის საკითხები

სანივთო კმაყოფა.

ასეულის, ესკადრონის, ბატარეის და გუნდის—მარგის მოვალეობაში შედის:

1. დათვალიერება თვითეულ წითელ არმიელისა, რომელიც სამსახურის გამო მიდის ან შვებულებაში ან სხვაგან, რათა ის იყოს ჩაცმული სუფთად, ფაქიზათ და ფორმაზე.

2. ყველა იმ გუნდების წითელ არმიელთა ტანისამოსის, ფეხსამოსის და საპურველის დათვალიერება, რომლებიც უნდა წავიდნენ ბინადრობის გარეშე ან სამსახურში, ან მუშობაზე ან სხვა საჭირო საქმეზე.

3. თვალყურის დევნა ასეულის წითელ არმიელების მიერ საკუთარი, ან სახაზინო ტანსაცმოსის, ფეხსაცმლის და საპურველის მოვლა-შენახვაზე.

სანივთო მეკუბნავის ვალდებულებანი.

1. ტანისამოსის, ფეხსამოსის, საპურველის, მის გასაწმენდის და წასასმელ მასალის მი-

ასეულის, ესკადრონის, ბატარეიის და გუნდის უფროსის ვალდებულებანი.

ყველა ასისთავებს ვერა აქვთ შეგნებული თავიანთი ვალდებულებანი ასეულის სამნეო ნაწილის მიმართ და მათ ჭეშმარიტით, რომ ეს მოვალეობა აწევს ერთეულის სამნეო დარგს.

როგორც ლეგიონის თავი სრული პასუხისმგებელია მთელი ლეგიონის საერთო მდგომარეობაში, აგრეთვე თვითეული ასისთავი ზნეობრივად და ნივთიერად პასუხისმგებელია თავის ასეულის მდგომარეობაში განსაკუთრებით.

ასეულის სამნეო ნაწილში ასისთავის ვალდებულებანი შემდეგი:

1. ზრუნვა წითელ არმიელების სწორ და თავის დროზე დაკმაყოფილებაზე ყველა იმით, რაც მათ ეკუთვნის ხაზინიდან.

2. არა ნაკლებ 4 ჯერ თვეში წლის განმავლობაში წითელ არმიელებისათვის ხელზე გაცემულ ტანისამოსის, ფეხსამოსის და საპურველის გასინჯვა, აგრეთვე შემოწმება იმისა, თუ რამდენად შეთანხმებულია ეს—დავორებში და საარმატურო სიებში ჩაწერილ ცნობებთან.

3. თვალყურის დევნება, რათა ასეულის ყველა თანამდებობის პირები სისწორით ასრულებდენ თავიანთ ვალდებულებას, შენახვა და გაცემა ყველა ო�ეულებში და აგრეთვე ასეულის ანგარიშების წარმოება აღნიშნულ საგნებზე.

2. ასეულის წითელ არმიელებზე საარმატურო სიების შედგენა და წარმოება.

3. ასეულის თავის მოხსენებით—სახელოსნოებში შესაკეთებელ ტანისამოსის, ფეხსაცმლის და საპურველის გადაცემა, სათანადო წიგნში შეტანით და ყურის გდება, რომ დაკერების შემდეგ (რაშიც უნდა დარწმუნდეს დადასინჯვით) ყველა ნივთები დაუბრკოლებლივ გადმოტანილი იქმნას ასეულში და ასისთავის მოხსენების შემდეგ—გატარდეს წიგნებში.

4. ასეულის თავის მიერ წითელ არმიელების ტანისამოსის, ფეხსაცმლის და საპურველის დათვალიერების დროს თანდასწრება, აგრეთვე შეძლებისამებრ, ოცისთავის დათვალიერებაზეც.

ასეულის, ესკადრონის, ბატარეიის და გუნდის უფროსის ვალდებულებანი.

1. ტანისამოსის, ფეხსამოსის, საპურველის, მის გასაწმენდის და წასასმელ მასალის მიღებულებას წითელ არმიელის სანივთო კმაყოფის საგნების მოვლაზე.

4. თუ რომასეულის ყველა წითელ არმიელს არ ეყო მიღებული ტანსაცმელი ფეხსაცმელი და საპურველი, დაუყონებლივ სათანადო ზომების მიღება დაკლებული ნივთების დამატებით გამოთხოვაზე.

5. ასეულის სამხედრო მოსამსახურეების კარგათ გამოკვებაზე ზრუნვა.

6. თუ რომ ასეულის თავი ამბარებს თანამდებობას მეორე პირს, პირველი მოვალეა გადასცეს და მეორე—მიიღოს ასეულის დავორების მიხედვით მთელი სანივთო ქონება, რაც აინახება ასეულში,—აგრეთვე გასინჯოს ტანისამოსი—ჩაცმული წითელ არმიელებზე.

7. თვალყურის დევნა ქვეშგების მოწყობილობის და ყაზარმის ქონების მთლიანობის დაცვაზე მთელ ასეულში.

8. ასეულის საწყობში ქონების სწორი შენახვის თვალყურის დევნა.

9. ასეულის ანგარიშების წარმოებაში ხელმძღვანელობის გაწევა და ზრუნვა ამ ანგარიშების თავის დროზე წარდგენაზე ლეგიონის სამნეო დარგში.

იქ სადაც შტატით არის ასისთავის ან თანაშემწე, ან ათეულის სამმართველოს უფროსი, ამ ვალდებულებების ტეხნიკური ამსრულებელნი არიან ეს უკანასკნელნი, მაგრამ ასისთავს პასუხისმგებლობა კი არა აქვს მოხსნილი. რასაკვირველია ასისთავის ამ ვალდებულებებიდან გამომდინარეობს მისი მოთხოვნილებების სათანადო უფლებებიც.

ს. შაკუნი.

(გაგრძელება იქნება.)

ახალი ამბები.

—წითელი ჯვარში. საქარ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაასრულა საქ. წითელი ჯვრის გამოკვლევა. შედეგები დამაკმაყოფილებელია.

— „ეკოგორუზი-“ს მალაზიის გაძარცვა გორში. 22 თებერვალს ღამით გორში გაძარცვეს „ეკოგორუზის“ განყოფილება. საქმის გამოსარკვევათ ცენტრალურმა გამგეობამ იქ გაგზავნა თავის წარმომადგენელი.

—სახლის პატრონების მოვალეობა. ქალ. აღმასკომის დადგენილებით სახლის პატრონები მოვალენი არიან შეაკეთონ დამსკდარი წყალსადენის მილები.

— მანქანების შეკეთება. ახლო ხანში შეუდგებიან ტფილისის ელექტრო სადგურების დაზიანებულ მანქანების შეკეთებას.

—საბავშო სანატორიუმი. ტფ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა კოჯორში გახსნას საბავშო სანატორიუმი.

— ვენახების რიცხვი. მიწ.-მოქ. კომისარიატის ცნობით აღმოსავლეთ საქართველოში ვენახების სივრცე უდრის 14. 841 დესეტინას.

—სისუფთავის დაცვა ქალაქში. ტფ. აღმასკომ. კომუნალურმა განყოფილებამ წინადადება მისცა სანიტარულ-ტეხნიკურ სექციას მიიღოს ზომები ქალაქში სისუფთავის დასაცავათ.

— წარმოებების დაზღვევა. ტფ. აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ დადგინა დაზღვევის თავის განკარგულებაში მყოფი წარმოებები.

—ცემენტი „ზაჰესისათვის“ ზემო ავჭალის ჰიდრო ელადგურის საღმაშენებლო კომიტეტმა შეუკვეთა „ნოვოროსცემენტს“ ნახევარი მილიონი ფუთი ცემენტი.

უცხოეთის არმიებში.



„ბრაუნიგი“—ზარბაზანი.

ცნობილ ამერიკელმა გამომგონებელმა ბრაუნიგმა შეიმუშავა 37 მილიმეტრიან ავტომატიური ზარბაზნების მოდელები. პირველი მათგანი აძლევს ჭურვს 395 მეტრის დაწყებითი სიჩქარეს წამში; მეორე კი—610 მეტრს. (?) ისინი იტენებიან ვაზნის საშვალებით და არა ლენტით. ამ სისტემის „ბრაუნიგი ზარბაზანი ივრის თითეულ წუთში 100—150 ტყვიამდე.

შიშს დიდი თვალები აქვს.

ერთმა ფრანგულმა გაზეთმა მოათავსა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ გერმანიას ჰეროპლანების მშენებლობას საქმეში კიდევ პირველი ადგილი უჭირავს; გერმანელ სპეციალისტების რიცხვი გაცილებით მეტია ამ ჟამად გერმანიაში ვიდრე ეს ესპეციალისტები სამოქალაქო ავიაციის მოთხოვნილებას. ეს კი საშვალებას მისცემს გერმანელებს საჭიროების დროს შექმნან ძლიერი საჰაერო ფლოტი. ამის დამტკიცებას გერმანია შესძლებს საზღვარ გარეთის ქარხნებში, სადაც არ იმყოფება საკავშირო სახელმწიფოების კანტროლი გერმანიაზე. ამნაირად ყოველ წუთს შეუძლია გერმანიას შეასრულოს თავისი სურვილები. საამისოთ მომზადებული მფრინავთა რიცხვი მას უკვე მარქაფში ყავსო.

ჩეხო—სლავია იარაღით ვაჭრობს.

ჩეხო სლავიის სამხედრო მრეწველობის წარმომადგენლებმა დაამთავრეს მოლაპარაკება საბერძნეთის სამხედრო სამინისტროსთან. დადებული ხელშეკრულების ძალით ჩეხო-სლავიის სამხედრო მრეწველობა უშზადებს საბერძნეთს 50. 000 ჩეხოსლოვაკურ ტიპის ვინტოვკებს.

სამხედრო ტრიბუნალი.

ა. წ. 26 თებერვალს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. გოგიჩაშვილის თავმჯდომარეობით, ამავე ტრიბუნალის დარბაზში განიხილა საქმე ქართულ ცხენოსან ლეგიონის ალექსანდრე იაკობის-ძე სტეფანეს. მას ბრალი ედებოდა

აბა გამოიცანი?

ამოცანა № 2.

რომელმა მოაკეთეთ?

ერთ სახლის პატრონს ჰქონდა 40 ბოთლი ღვინო. ღვინოსთვის არ უნდოდა მოეკლო და მოათავსა უჯრედებად დაყოფილ ყუთში ისე როგორც ამ სურათზეა აღნიშნული.

1	9	1
9		9
1	9	1

ამნაირად ყუთის ყველა ნაპირებზე როგორც ზევით, ისე ქვევით და განზე იყო თერმომეტ-თერმომეტი ბოთლი. ხშირად ნახულობდა სახლის პატრონი თავის ყუთს და წითვლიდა ბოთლებს ჩვეულებრივად, ე. ი. ზევით, ქვევით და განზე, თუ ყოველი მიმართულებით აღმოჩნდებოდა ყუთში თერმომეტ-თერმომეტი ბოთლი, სახლის პატრონი გულდამშვიდებით მიდიოდა უკან.

მოსამსახურემ გაიგო თუ როგორ ითვლიდა სახლის პატრონი თავის ბოთლებს და ყუთიდან ოთხჯერ მოიპარა 16 ბოთლი ღვინო. თითეული ქურდობის შემდეგ ყუთის უჯრედში ისე აღაგებდა ის ბოთლებს, რომ სახლის პატრონს დათვლის დროს მაინც თერმომეტ-თერმომეტი გამოსდიოდა.

როგორ ათავსებდა მოსამსახურე ბოთლებს ყუთში?

პასუხი შეკითხვებზე.

შეკითხვა. 1) გთხოვთ გვაცნობოთ, მეფის დროს აღებულ ვალს—ფულათ (1912-1915 წ.) გადახდის თუ არა წარმიელის ოჯახი, რომელსაც ერთად ერთი მარჩენელი წითელ ჯარში მსახურობს, ხოლო მშობლები მოკლებული არიან შრომის უნარს?

2) თუ ახდევინებენ, როგორ და რა პირობებში?

ცალკე მესანგრე ასეულის არმიელი მ. **გუდაძე.**

პასუხი.

ვალის გადახდისაგან განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს საშუალებით.

შეკითხვა. 1) აქვთ თუ არა უფლება უნცროს მეთაურებს თავისი ხელური ულუფა ხელზე მიიღონ.

2) უნცროს მეთაურებზე გაცემული ტანსაცმელი და ლოგინის მოწყობილობა მათი სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ რჩებათ თუ არა მათვე.

პირველ ლეგიონის უნცროსი მეთაური **ძიძიგური.**

პასუხი.

1) ყველა ის სამხედრო მოსამსახურენი, რომლებიც 9-არ ხარისხიანი განკვეთით იღებენ ჯამაგირს, უნდა ცხოვრობდეს ყაზარმაში და ჩარიცხული იყვენ ქვაბზე.

2) ტანსაცმელი და ლოგინის მოწყობილობა, სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ **არ გადადის** უნცროს მეთაურობაში.

შეკითხვა. მე მყავს ოჯახში შრომის უნარ მოკლებული მშობლები. ძმები კი მცირე წლოვანები არიან. ერთ 10—2-რე 12 და 3-მე 15 წ. უნცროსი ძმა ჩამოვიდა სოფლიდან ავადმყოფი, სურს მიხეილის საავათმყოფოში მოთავსება. შეიძლება თუ არა ჩემი ნაწილის უფროსმა მოიცეს მოწმობა, რომ ექიმობის ფული არ გადახდეს.

პასუხი.

უფასო წამლობით სარგებლობენ მხოლოდ წითელ არმიელები და მათ უშვალო მზრუნველობის ქვეშ მყოფნი ოჯახის წევრები.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

განცხადება.

ვის აქვს საწინააღმდეგო.

პირველი ცალკე მესანგრეთა ასეულის კომუჯრედი ამცნებ აცხადებს, რომ მის სახელზე შემოტანილია განცხადება ამ ასეულის მწყობრის თავის ამხ. გრიგოლაშვილისაგან, საქართველოს კომპარტიაში მიღების შესახებ.

კომუჯრედი სთხოვს მოქალაქეებს თუ ვინმემ რაიმე იცოდეს მის შესახებ გვაცნობონ წერილობით პირველ ცალკე მესანგრეთა ასეულის კომუჯრედში არა უგვიანეს ერთი კვირის განმავლობაში.

მისამართი საპიონრის ქუჩა № 23.

კომუჯრედის მდივანი **ჯავახოვი.**

ნ. დ. ს. ვ. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.